# საქართველოს კანონი

## საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, № 29-30/5, 11 დეკემბერი, 1996 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-9 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "თ" ქვეპუნქტი:

"თ) ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული (არასტანდარტული) საყოფა ცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტში ან რეალიზაციაში (იმპორტში ტეტრაეთილტყვიის ინვესტირება დაიშვება მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიით ნებადართულ აუცილებელ შემთხვევებში)".

2. მე-17 მუხლის პირველი აბზაცი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2_4 პუნქტები:

"2. ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის ამოქმედებამდე საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა უზრუნველყონ მოსამზადებელი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კონტროლი და კოორდინაცია.

3. მოსამზადებელი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება დაევალოს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, შინაგან საქმეთა, ეკონომიკის სამინისტროებს, საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტსა და "საქსტანდარტს". "საქსტანდარტმა" 1999 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს საყოფა ცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის სათანადო სტანდარტები.

4. ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა განხორციელებას უზრუნველყოფენ "საქსტანდარტი" და სახელმწიფო მმართველობის სხვა უფლებამოსილი ორგანოები კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.".

II. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $91^2$ მუხლი:

**` მუხლი $91^2$. საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფა ცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი ან რეალიზაცია**

საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფა ცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი ან რეალიზაცია, _

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის ათიდან ასმაგ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით. ~

2. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 29-ე ნაწილი:

"$91^2$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს "საქსტანდარტი", აგრეთვე შინაგან საქმეთა (ეკოპოლიცია), გარემოს დაცვის, საბაჟო ორგანოები კანონით უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის საფუძველზე".

III. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის $172^1$ მუხლი:

**" მუხლი $172^1$. საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფა ცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი ან რეალიზაცია**

საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფა ცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი ან რეალიზაცია, ჩადენილი ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, _

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული

ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფა ცხოვ რებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი ან რეალიზა ცია დიდი ოდენობით, _

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ორ წლამდე.

ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ ან სხვა დამამძიმებელ გარემოებებში, _

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებულ დიდ ოდენობად ჩაითვლე ბა 30 ტონაზე მეტი მოტორული ბენზინი და თხევადი გაზი და 10 ლიტრზე მეტი ტეტრაეთილტყვია."

IV. ეს კანონი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან, ხოლო პირველი მუხლის მე-2 პუნქტის პირველი და მე-2 აბზაცები _ გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**
**თბილისი,**
**1999 წლის 22 ივლისი.**
**#2299-რს**